№1351 2015 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოში ფეხბურთის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №262 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოში ფეხბურთის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №262 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოში ფეხბურთის განვითარებისა და აღორძინების მიზნით, შეიქმნას საქართველოში ფეხბურთის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ირაკლი ღარიბაშვილი – საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

კახა კალაძე – საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი;

გიორგი კვირიკაშვილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი;

ნოდარ ხადური – საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

ნოდარ ჯავახიშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;

ტარიელ ხეჩიკაშვილი – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი;

დავით ნარმანია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;

აკაკი ლოდია – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

დომენტი სიჭინავა – ა(ა)იპ – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი;

რევაზ არველაძე – ა(ა)იპ – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი;

ალექსანდრე ჩივაძე – ა(ა)იპ – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი;

მურთაზ ხურცილავა – ა(ა)იპ – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტი;

რომან ფიფია – შპს „საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის“ (ს/ნ 204423454) პრეზიდენტი;

ილია კოკაია – შპს „საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის“ (ს/ნ 230091664) 100%-იანი წილის მფლობელი.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**